საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2364 2018 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „მერფი ყაზბეგის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „მერფი ყაზბეგს“ (ს/კ: 400152106) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტში მდებარე 52932 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.153), 983 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.214), 1469 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.217) და 6903 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.246) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე, „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილების შესაბამისად, არანაკლებ 32 000 კვ. მ ფართის მქონე არანაკლებ 200 (ორასი) სატვირთო ავტომანქანაზე გათვლილი ბეტონის ან/და ასფალტის საფარიანი ავტოსადგომის შექმნა (მათ შორის,

ავტოსადგომის ტერიტორიის სრულად შემოღობვა, გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და დაცვის სისტემების მოწყობა), ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება;";

ბ.ბ.) „დ" – „ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტოსადგომზე ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის პარკირების საფასურის განსაზღვრა არა უმეტეს „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული ავტოსადგომზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომის საფასურის ოდენობით, ხოლო საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობ(ებ)ის შესაბამისად;

ე) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 13 000 კვ. მ ფართობზე სასაწყობე მეურნეობის შექმნა (რომელიც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) არანაკლებ 200 კვ. მ ფართის მქონე ადმინისტრაციულ შენობას, არანაკლებ 600 კვ. მ ფართის მქონე მაღალი გამავლობისა და მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისათვის სარემონტო ნაგებობებს/ბოქსებს, სამრეცხაოსა და სარეზერვო ელექტრომომარაგებისათვის განკუთვნილ არანაკლებ 100 კვ. მ ფართის მქონე შენობას), აღჭურვა, ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ტერიტორიის სრულად შემოღობვას, გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და დაცვის სისტემების მოწყობას, სანიაღვრე არხ(ებ)ის გაყვანას, ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის მომარაგების სისტემის გამართვას), ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება;

ვ) ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 20 (ოცი) ნომერზე გათვლილი სასტუმროსა

და არანაკლებ 300 კვ. მ ფართის მქონე სწრაფი კვების ობიექტის მშენებლობა, აღჭურვა, ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება;";

ბ.გ) „თ" – „ი" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული კონფიგურაციით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან არანაკლებ 1000 კვ. მ ფართობზე ასფალტის ან/და ბეტონის საფარის მოწყობა, ხოლო არანაკლებ 2000 კვ. მ ფართობის (ამ ქვეპუნქტში მითითებული 1000 კვ. მ ფართობის ჩათვლით) საჭირო დამოუკიდებელი კომუნიკაციებით (მათ შორის, ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით) უზრუნველყოფა და ექსპლუატაციაში მიღება;

ი) ამ პუნქტის „თ" და „კ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან არა უგვიანეს ერთ თვეში შპს „მერფი ყაზბეგმა" უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული პროექტითა და საკადასტრო საზღვრების შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტში მდებარე №74.03.14.153 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებიდან არანაკლებ 8000 კვ. მ ფართობის მქონე უძრავ ქონებაზე (ამ პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული არანაკლებ 2000 კვ. მ უძრავი ქონებისა და ამავე პუნქტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ჩათვლით) და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტში მდებარე 983 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.03.14.214) აღნაგობის უფლებაზე უარის თქმა და ამავე ქონებაზე აღნაგობის უფლების შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი შეთანხმების გაფორმება, ხოლო, „თ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული ქონების იმ ნაწილზე, რომელზეც მოეწყობა ასფალტის ან/და ბეტონის საფარი, აღნაგობის უფლების შეწყვეტიდან შემდგომი 10 (ათი) წლის განმავლობაში, ასფალტის ან/და ბეტონის საფარის დაზიანების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით დაზიანების აღმოფხვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ შეტყობინებიდან ამავე უწყების მიერ განსაზღვრულ ვადაში;";

ბ.დ) „ი" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ" – „მ" ქვეპუნქტები:

„კ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული პროექტითა და მიწის ნაკვეთის კონფიგურაციით, უსასყიდლოდ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ნაწილზე რენტგენოსკანერის სამართავი საოპერატორო შენობის აშენება, ფიტოსანიტარიული-ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის შექმნა, საბაჟო ოფისის აშენება, სამი დახურული ტიპისა და სამი ღია ტიპის დათვალიერების რამპის მოწყობა და ექსპლუატაციაში მიღება;

ლ) ამ პუნქტის „გ" და „კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება;

მ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმების შესაბამისად, მიწის ნაკვეთ(ებ)ის, რომლებზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული საკადასტრო საზღვრების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს აღნაგობის უფლების შეწყვეტა, არანაკლებ 2 (ორი) მეტრის სიმაღლის ბეტონის ღობით შემოღობვა და დამოუკიდებელი საჭირო კომუნიკაციებით უზრუნველყოფა.".

2. „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“, „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვროს ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს 6 (ექვსი) თვე.

3. „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულების მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვროს ამ განკარგულების გამოცემიდან 10 (ათი) თვე.

4. შპს „მერფი ყაზბეგი“ (ს/კ: 400152106) ვალდებულია, შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“, „ზ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჯამური ინვესტიციის არანაკლებ 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია,

რომლის მოქმედების ვადაც განსაზღვრულ უნდა იქნეს ამ განკარგულების გამოცემიდან არანაკლებ 14 (თოთხმეტი) თვით და რომელიც მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობების შესრულებას (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

5. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „მერფი ყაზბეგი“ გათავისუფლდეს მასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 2016 წლის 29 ივნისს გაფორმებული უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების თანახმად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების ხელშეკრულების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერფი ყაზბეგისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №203 განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**